სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/52

ქ. თბილისი 5 ნოემბერი 2024

სტუ-ის საკუთრებაში არსებული ფართის სსიპ ანტიკორუფციული ბიუროსათვის თხოვების ფორმით, არსებობის ვადით გაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 4 ნოემბრის №0001413603 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 5 ნოემბრის №01-06-02/09 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას, კანონით დადგენილი წესით, სსიპ ანტიკორუფციულ ბიუროს თხოვების ფორმით, არსებობის ვადით, გადასცეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №71-ში მდებარე მე-7 სასწავლო კორპუსის მე-2 სართულზე უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული 302.46 კვ.მ. ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი (ს.კ. 01.10.13.040.003.01.01.526);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**